

131
9

1044

სანის თავის მკეთელი

აცხათალი არდიია

8/137

(სადახს)

ღა

მორჩილი რაჭდენ ბარამიძე

ვამოცემული

008 012242006-8006.

თავისი


სტამბა მ. შარაძისა და ამს., ნიკოლოზის ქ. № 2
1901

აღამაშვილ ხანის თავის მკვეთელი

ეცხოთელი ჯდრია

(სადიხა)

13.	<u>1367</u>	053.	<u>/ /</u>
1.	<u>38</u>	83.	<u>/ /</u>
16.	<u> </u>	80.	<u>80.</u>

მთლიანი რაყდენ ბარაშიმე

გამოცემული
008 012020-8006



თვილისი

სტამბა მ. ზარდისა და ამ., ნიკოლოზის ქ. გ. გ. გ. გ. გ.
1901

Дозволено цenzурю, Тифлисъ 7 Ноября, 1900 г

აღამაშად ხანის თავის გვეთელი

მცხეთელი ანდრია (სადიხა).

I



ართველთ მეფების დროს ყმაწვილების აღზრდა ასე იცოდნენ: ყმაწვილი გახდებოდა თუ არა 6—7 წლისა, მას მაშინათვე ანბანის კითხვას დაწყებინებდენ, მაშინ ანბანს ხბოს და ძროხის ბეჭედ სწერდენ, მით ასწავლიდენ. დაბეჭდილი ანბანის წიგნებიც გვქონდა, მაგრამ ესენი მაშინ ძვირად ფასობდენ. ზოგს ოჯახში ყმაწვილმა ქართული ანბანი არც კი იცადა, მაგრამ ზოგი ერთ ქართულ ლოკვებს კი ზეპირათ სწავლობდენ. ნაშეტურ „უფალო ღმერთის“ ლოკვას, სადაც ბაჟშვის ნიჭიერების ვედრება არს გამოხატული. ანბანის და საჭირო ლოკვების დასწავლის შემდეგ ყმაწვილს ასწავლიდენ სხვა-და-სხვა საგმირო არაკებს, მაშინ, ჩვენში საგმირო არაკები დიდის მოდაში იყო შემოსული. საგმირო არაკების კითხვით ქართველნიც მთლიად გმირობას ეჩვეოდენ. მაშინდელ ქართველთ მოწაფეების ცემა სრულებით არ იცოდნენ. მაგალითადაც არ მოხდებოდა, რომ საღმე ისტატს მოწაფე გაელიახა. ჩვენი გლეხის წარსული ცხოვრება სწორეთ აღუღებული ბრძოლაა, საოცნებო სურათი დრამის თუ ტრაგედიის. ვინც კი ჩვენი ისტორია იცის, ის ამაზე ცხადათ დარწმუნდება. გლეხთ ასეთს მნიშვნელობას თვით ჩვენი „ქართლის ცხოვრებაც“ გვიმტკიცებს, მაგალითებრ: „ქართლის ცხოვრების“ ცნობებით, მთელს ჩვენს წარსულში, ერთ ქართველ გლეხსაც ვერ ვნახავთ, რომ მას თავის სამშობლო ქვეყნის წინაშე რამე ღალატი ჩაედინოს, ვისთვისმე რამით ევნოს, ეს ბატონებო, მეტათ დიდი ღირსება არის ჩვენის გლეხ-კაცობისა.

მეფე ერეკლემ სპარსელებთან საქმე მაგრა დაიჭირა, განიძრახა მის ძლევა, რაც სხვა მეფეებს არ ეძლივნათ. ამის ტრფობა მას ავლანისტანის გალაშქრების დროს ჩაენერგა. საქართველოს გაძლიერებისთვის მან სამუდამო ჯარის დაარსებაც განიძრახა, ამისთვის რომის სენატსაც მიმართა. რუსეთში აც არა ერთხელ იქმნა თხოვნა გაგზავნილი. 1765 წლების შემდეგ, სხვა და სხვა პირთა დახმარებით თფილისში გაიხსნა ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა. ქარხანას განაგებდა რუსეთში ნასწავლი არტილერისტი. ამ ქარხანაში ჩამოსხმულ იქმნა 84 ზარბაზანი, 40 ზარბაზანიც მეფე ერეკლეს ეკატერინა იმპერატრიცასაგაბ შოუვიდა საჩუქრათ. რუსეთიდამ ზარბაზნების მოტანას ასახელებენ 1771 წ. როცა მეფე ერეკლესთან, მინისტრად წარმოგზავნილ იქმნა ივან ლავრენტიჩ ლვოვი და 1772 წ. როცა ტოტლებენის მაგიერ გენერალ მაიორი სუხოტინი იქმნა წარმოგზავნილი. საქართველოში ზარბაზნების ჩამოსხმა და არტილერია აღრინდგანვე იყო. არტილერისტებათ ხშირად ევროპიულნიც ყოფილან. მეფე ერეკლემ რუსეთში ქართველთ შეილები ინჟინერიის სასწავლებლათა თავის განვითარა. ამის შესახები ერთი წერილი „წერა-კითხვის სამართველოშიაც“ ინახება. მეფე ასე სწერს რუსეთში მყოფს გ. ქავეჭავეძეს: — „ამა და ამ თავადიშვილს უზიანებენ რომ მანდ ინჟინერობა შეისწავლის, რითაც იგი თავის მამულს დიდათ გამოადგება და ეს შენთვისაც დიდი გადის მოშორება იქმნება წინაშე მამულისა“. მეფე ერეკლეს დროს, 1780 წლის შემდეგ, საქართველოში, რუსეთიდამ ჩამოვიდა გერმანიელი იოსებ გეტინგი, კაცი თავის დროის კვალად განსწავლული და განვითარებული. ეს პირი მეფეებ დიდის პატივით მიიღო, იგი დაადგინა თავის შეილების მასწავლებლად და შემდეგ არტილერიის გამგეთ. 1795 წ. გეტინგიც იღებდა ომში მონაწილეობას. და ცხარედ ბრძოდა. იგი სპარსელთა ტყვეთ ჩაუვარდათ და თან წაიყვანეს. იქ ამას ყეინი დარჩენას სთხოვდა, ზაგრამ გეტინგს არ უნდოდა იქ დარჩენა, რადგანაც ყეინი

სძულდა მას ისე რომ როც ბარბაროსი და საძაგელი ბიუწი. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფის განკარგულებით სპარსთავან ტყვევების გამოსყიდვა დაიწყეს, ტყვევებთან უპირველესად ვეტინგი. იქმნა განთავისუფლებული და საქართველოში დაბრუნდა. საქართველოში მოსული მეფის კარზედ სკხოვრებდა. ეს პირი მოესწრა მეფე ერეკლეს სიკვდილს, გიორგის და ბევრიც სხვა საყურადღებო ცნობებს. მეფემ და მეფის ძეთ მას თფილისში მამულები აჩუქეს. გეტინგმა საარტალერიო ხელოვნებას გარდა მესაათობაც იცოდა და მეფების დროს, თფილისში მას საათის მაღაზიაც აქვნდა, სადაც ქართველთ შვილებს მესაათობასაც ასწავლიდა. 1800 წ. რუსეთში გადასახლდა. იქ ქართველთ ბატონიშვილებმა დიდის პატივით მიიღეს და კარგი ულუფაც დაუნიშნეს.

XVIII საუკუნეში, საქართველოში მესაათეები სხვებიც იყვნენ, ერთი ვიღაც ებრაელი, სტამბოლიდამ შემოსული და ერთიც ბერძენი. ამათ გარდა იყვნენ სხვა და სხვა ევროპი-ელნიც, რომელნიც მეფისა და ბატონ მეტი შემოსული დიდს პატივში იყვნენ. მე კარგად ვიცი, რომ XVIII საუკუნეში, თფილისში სკხოვრებდნენ ნემეცებიც, იტალიელნი, ფრანკუზნი, რუსებიც ხომ მრავლად და ინგლისელნიც, რომელთა ზოგნი ვაჭრები იყვნენ, ზოგნი მსწავლულ მოგზაურნი და ზოგნიც სხვა და სხვა მიზნით აქ მოსულნი და მცხოვრებნი. ვინ იცის. რამდენი ამათში მეტად უცხო. და შესამჩნევი პირნიც ყოფილან, რომელთაც ერთობ დიდი ზე გავლენა ჰქონიათ. ჩვენს მეოქებზედ და სამეფოზედ, დღეს კი ჩვენ მათის ცხოვრების და ვითარების არაფერი ვიცით. ამ ცნობებსაც ტიდის წვალებით ვპოულობთ სხვა და სხვა ძველის ბარათების მეოხებით.

ასე რომ საქართველოში, სამეფოდ 150 ზარბაზანი მეტი ითვლებოდა, ქს ზარბაზნები დარიკებულ იქმნა მთელს საქართველოს ციხე სიმაგრეების და სოფლებისკენ. ამბობენ, რომ 1775 წ. იმერეთშიც ჩამოასხმევან. ჩაქაზნებიო. საქარ-

თველოს ასეთმა გარემოებამ სპარსეთს ადრევე აუხილა თვა-
ლები, ამ თვალების ახილვისაგან გულმა ფანცქალი დაუწყო,
მათ ველარ მოითმინეს, საქართველოს მომართვეს, მუქარება
შემოუთვალეს, მუქარაში ყოველთვის შემდეგი დარიგება იხა-
ტებოდა:

ქართველებმა რუსებს თავი დაანებეთ, საქართველოში
რუსები ნუ მოგყავთ, თორემ როცა იქნება ჩევნ შემოვალთ სა-
ქართველოში და მთლად იგიკლებთ, დედა მიწის პირზე მოგ-
სპობთ. ჩევნ ამას ველარ ავიტანთ, რუსებს თავი დაანებეთ.
მათ მრისხანებას ფრთხები 1760 წ. მიყცა, როცა თეიმურაზ
მეფე რუსეთს გადასახლდა, იქ გარდაიცვალა. მეფე ირეკლე
და მის დროის ზოგი ერთი კაცები სპარსეთის ჟყინს უადვი-
ლესად არწმუნებდნენ ერთგულებას და მით მის ღრძო გულ-
საც აწყნარებდენ. მუქარება თუმცი ისმოდა, მაგრამ კვევიან და
ბრძენთ ქართველთაგან ეს მუქარება მალე ქარწყლდებოდა,
აღა მაპმად ხანის გაძლიერების შემდგომ კი საქმე სხვაფერ
წავიდა, იმის ღრძო გული ველარავენ დააცხრო. ეს ბორიტი
და სისხლით გაფუჭებული ხოჯა სპარსეთში რაღაც მანქანე-
ბით განდიდედა, ამ ძლიერებას უცხოვლესად დაეხმარა სპარ-
სთა ფანატიზმიც. დაკოდილმა ხოჯამ ძირს ჩამოაგდო თვის
მემკვიდრე ბიძა, ირანის ტახტის მფლობელი, შის მაგიერ
ტახტი მან დაიკავა. ეს საქმე მთელს სპარსეთს უდია, მაგ-
რამ გაოცება აქ რაღათ იყო საჭირო, მუსულმანების ფანა-
ტიზმა სძლიია ყველაფერს, მათმა ფანატიზმა არამც თუ
მარტოთ საქართველო დაამხო, არამედ დაამხო თერთ სპარ-
სთა ძალა, გამგეობა და უფლება. ქართველნი ქვეშექრდომნი
იყვნენ სპარსეთის, მაშასადმე ერთგულნიც იქმნებოდენ იმ
ყავნის, ვის ქვეშექრდომათაც იგულისხმებოდენ, ცხადი სა-
ქმედა ქართველნიც მფლობელის შაპის მომხრენი უნდა ყო-
ფილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველნი მოღალა-
ტეო ჩაითვლებოდენ, ამიტომ ქართველნი, როგორც ქარ-
თველ ქვეშექრდოდენ. მაგრამ მოხდა

ისეთი შემთხვევა, რომ ბრძოლაში ძლიეულ იქმნა ყაენი, ძლიეულ იქმნენ მასთან მთელი ქართველობაც, აქ გაიმარჯვა აღა მაპმად ხანმა, გაიმარჯვა ყველაზე და იმ ქვეშეერდომებზე-დაც, ვინც მის მოწინააღმდეგეს ეხმარებოდა, უანგარობა ქართველთაგან არც შეიძლებოდა. ქართველნიც აბა რალა ფიქრი უნდა ყაენისათვის გადასაყლაპვ ლუკმად უნდა ქცეულიყვნენ. მაინც ყაჯარმა ასეთი ჰაზრი შეადგინა ქართველებზე: ქართველნი ჩემ მოწინააღმდეგეს ეხმარებოდენ, მე არ მომემტენ, ეხლა მე ვიცი მათი დასჯა და პასუხის გება. მე შევანანებ, ქართველთ კი მოვერევი, იგინი ჩემგან მით უფრო არიან დასაცემ ასაკლებანი, რადგანაც ჩემი მეტოქნი სხვას მიემხრობიან, ნამეტურ რუსებს, რუსი მათი მერჯულეა, მისვლა-მოსვლაც აქვთ ერთმანერთში, თუ ასე არა ვქენ, მაგრა სპარსეთს ხელიდამ კარგი ლუკმა გამოეცლება. მართლაცა და ქეციან სპარსეთს, საქართველო ერთობ კარგს ლუკმას აწოდებდა, ამ ლუკმით იგინი წელში მაგრდებოდენ, სულს იბრუნებდენ. ეს ლუკმა შესდგებოდა მრავალ გვარ გარცხა-ხადისაგან. საქართველოს ლუკმა სპარსეთისათვის ცხონეათ ითვლებოდა, სიცოცხლის მიმცემ ძალად, უამისოდ იგინი იქმნება სულაც გაწყალებულიყვნენ, პირში სული შეხუთვო-დათ. საძაგლის ყაჯარის სიბილწეს და ქართველთადმი შეუ-ბრალებლობას შემდეგი გარემოება და მტრობაც დაეხმარა: განჯის, ბაქოს, ერევნის, შუშის და სხვა და სხვა კუთხის სომხებს სასტიკად სტანჯავდენ და აწვალებდენ ხსენებული ქვეყნის თათრები და ხანები, ამათის გულისთვის მეფე ერე-კლე გადაეკიდა განჯის ჯავათ ხან ზიად ოლლის. ზიად ოლ-ლის მეფე ერეკლე ერთ დროს შეებრძოლა კიდეც, განჯაზე საომრად წავიდა, თან 32 ათასი სალკეთესო მეომარი ქართველი წაიყვანა, ეს მეომარნი მთლად მიაულიტა 8000 ურმი-დამ. საქართველოში აღარც 300 ურემი დაბრუნდა, ხარი, კამეჩი, ცხენი, ჯარის იარაღი და სხვა საჭირო ნივთები მთლათ იქ დაილუპა, მეომართაგანაც ძრიელ მცირე დაბრუნ-

დენ, მტერზე გაიმარჯვეს, მაგრამ არც თვით დაეყარათ კუ-
თილი. თვითაც ისე მცირედ დაშთენ, რომ შემდეგ მტერზე
უფლებაც ვეღარ მოახერხეს, ამ გარემოებამ ქართველებს დი-
დი თავზარი დასცა, დიდი მეტი დაარტყა, ყველა მწეხარე-
ბით იგონებდა 32 ათასი ქართველის დახოცვას და 8000 ურ-
მის დაკარგვას, ქართველთ წუხილს გარეშე ამ გარემოებამ
საქართველოსაც დიდი მარცხი მოუვლინა, დიდი უბედურება,
32 ათასი საუკეთესო ქართველი ჩაგრულ სომებთათვის დაი-
ხოცეს, იმიულოლი განძიც დაჭარგვს, ყველა ამის სანაცვ-
ლოთ ჰპოვეს ის, რომ 100 ოდე ოჯახი სომებთ დევნულების
თფილისში მოიყვანეს და ჰავლაბარში დაასახლეს. 32 ათას
ქართველთ მეომართ მხედრების სანაცვლოდ და 8000 ურმის
სამაგიეროდ ქართველთ 100 კომლი სომებთ ოჯახი დაშენ,
ამათ უნდა გაეწიათ მაგიერობა, ამით იშოშეინებდა მეფე
გულს, მაგრამ ვერც ამაში აღმოჩნდა იგი შორს მხედველი.
შემდევ თვით მათივე ნათესავები გახდენ მეფის მოლალატე, გა-
ჭირვების მეოხებით და სპარსთა და ვითომც მუქარებით თვით
ესენივე მიემხრენ მეფის მტრებს, თვით ესენივე მოუძღვნდენ
ზიად ოღლის წინ, როცა კი ზიად ოღლი საქართვლოზე ამხე-
დრდა და მამად ხანს მოუძღვოდა.

ერთხელ ყაენმა მეფეს შემდეგი პირობა შემოუთვალა:
თქვენ, მე მძევლათ თქვენი ტახტის მემკვიდრის შვილი მომე-
ცით, მეც ფიცით პირობას მოგცემთ, რომ დღეის ჭედეგ მე ფე-
ხი შანდეთ არ გადმოვდგა, ოღლიდ თქვენ კი თვით დაანე-
ბეთ რუსებს და ნუ ემხრობით, ნუ გინდათ მათი მეგობრობა.

მეფეთათვის ესეთი რჩევა დიდათ სამძიმოდ აღმოჩნდა.
უარი განაცხადა. ამიტომ ყაენიც ამხედრდა, ამის ამხედრებას
ზიადოღლიც უწყობდა ხელს, იგი უფრო აქეზებდა, ათას ნა-
ირის ბოროტებით მოსავდა. მას სასტიკად სურდა ირაკლი
მეფის ჯავრის ამოყრა, საქართველოს დამხობა. ნატურა აღუ-
სრულდათ, რამდენიმე ხნის შემდეგ აღა მაჭაღანი 70,000
ჯარის კაცით ამხედრდა და საქართველოზე წამოვიდა გასა-

ლაშქრავად. ამ დაგეშილ უსამართლო თათრის ჯარს მოემატნენ ჯავათ-ხანის ჯარის კაცნი და სომებიც. ესენი მალე წამოვიდენ საქართველოზე, ჯარს გზის მაჩვენებლათ და წინამძღვრლათ თვით ჯავათ ხანი მოუძღვოდა.

ომში ქართველთ დიდი მხნეობა გამოიჩინეს, მამად ხანი აყრას აპირებდა და წასვლას, მაგრამ იგი განჯალ და ერევნელთ შეაჩერეს; უთხრეს:

ერეკლე მეფეს ძრიელ ცოტა ჯარი ჰყავს; თქვენი მასთან ერთი დღის ბრძოლა მთლათ დასცემს, დაამხობსო. მაპ-მად ხანმა შეისმინა განჯელთ ჯაშუშური რჩევა და ამაზე არც შესცდა. იგი ორ სამ დღეს კიდევ დარჩა, დასუსტებულ ქართველთ ბრძოლა უწყო კვალად, და ამ ბრძოლით მთლათ აიკლო და დაამხო თბილისი. თბილისის დამხობის შემდეგ მცხეთამდისაც წავიდა, სოფლებს იკლებდა, ხალხს იტაცებდა, სხეათ მრავალთ მოტაცებულებით შორის, ტყვედ ჩავარდა, ერთი მეტად თვალ-ტანადი ყმაწვილი ქართველი ბიჭი, მცხეთელი, გლეხის შეილი, ანდრია, რომელიც თვალადობით დატანადობით შესანიშნავ შესახედავობის ყოფილა.

II

უნდა ვსთქვაო, რომ მცხეთელ ანდრიას გარდა სხვაც ბევრი შესანიშნავი ქართველ ყმაწვილები იპყრეს ტყვეთ და სპარსეთში წაიყვანეს, იქ ესენი გაათათრეს, მათგან საქართველოში აღარავინ დაბრუნებულა. იქ დაპატიმრებულებივით იყვნენ. უმრავლეს წაყვანილებთაგანი ყაენის და მის ახლონათესავების მსახურებათ იქმნენ დატოვებულები. აღა მაპმად ხანი ბრძოლის შემდეგ სპარსეთში დაბრუნდა, გული აღევსო საწყალით. ქართველის აღარაფრის შიში აღარ ჰქონდა. იგი ფიქრობდა: ერთი რომ კიდევ გავილა შერთ საქართველოზედ, მაშინ მთლათ დავამხოვ მათო. მაგრამ ეს ჯერ საქართველო არ არის, მე ჯერეთ შორიდამ უნდა უმზირო ქართველთ საქმეს, თუ დღეის შემდეგ როგორ მომებურობიან, რა გვარ კავშირს დაიჭერენ ჩემთანაო. ყაენი დაშოშმინდა, მიეცა თავის

ცხოვრებას. ქართველთ სამეფომ ტყვევის შესახებ სპარსეთთან მიწერ-მოწერა და ლაპარაკი გამართა, ზოგი ტყვევი განთავისუფლებულ იქმნენ, ზოგი იქ დატოვებულ და გათათებულ, მცხეთილი ანდრიაც მაღვე გაათათრეს, სახელიდ საღიხა უწოდეს. იგი ყაენის კარზე იქმნა დატოვებული მოსამსახურეთ. მაინც ყაენის შინაურ მოსამსახურეთ უმეტესს ნაწილს გათათარებული ქართველები შეადგენდნენ, ქართველნი მას სამაგალითოდ ემსახურებოდნენ, სპარსთა ასეთი სამსახურის ნიჭი სულ არ ჰქონდათ. თვით ყაჯარი იყო მეტათ ცუდის თვისების კაცი, ადრე იგი მისმა მეტოქეებმა საჭურისი ჰყვეს, ამით ფიქრობდენ, რომ აღა მაჰმადხანს საყოველთაოდ ხელიდამ გამოიყლება ტახტის მეძიებლობის ძალაო. ეს მის ბიძაშვილებმა მოუხერხეს პატარაობის დროს, რადგანაც კანონით ერთ დროს ირანის ტახტს მაჰმადხანი დაიჭირდა. გასაჭურისებამ აღა მაჰმად ხანზე ერთ ხნობით ბნელათ იმოქმედა, შემდეგ კი მან თვალები გახსილა, ტახტის ლაკავების ოუნებას მიეყა, მაგრამ ტახტს რა თხრათ დააშთენდა, შვილები მას არ ეყოლებოდა და ცოლი. ტახტის დაჭერა უფრო ჯავრით მოინდომა, რადგანაც რათ გამასაჭურისეს მიო. ჯავრით კვდებოდა, ბევრსაც ნაღვლობდა, მაგრამ ველარას შველიდა თავს, საქმე წასული იყო. როგორც საჭურისი, იგი იყო ქოხა, გამხმარის სახის, ერთის შეხედვით 16—17 წლის ბიჭის ჰევანდა და მეორეს მხრით, მოუცებულებ დედაკაცს, სახე ჰქონდა ჩავარდნილი, ხმელი. ტანითაც დაბალი და მასთან გამხმარი. ხასიათით გოროზი, ბაიკუშის თვისების, მასთან გაუტანელი, მტერი ყველასი, ცბიერი და უპურ-მარილო. სადაც კი ქალს ან ვაჟს ნახავდა, მათის ჯავრით აღარ იცოდა რა ექნა, ყველას ეჩხუბებოდა, ყველას აგინებდა და აშინებდა, კაცის მოკვლაც ჩალასავებ მიაჩნდა. მან არც სამართალი იცოდა, არც სიმართლე, არც სიძრალული, არც ნამუსი ჰქონდა. მაგალითსაც მოგახსენებთ, ვიღრე მცხეთელი ანდრია გამოიწურთნებოდა, მინამ მას ქართველთ სხვა მონებიც ჰყვან-

და, რომელიც მას წელზე ემსახურებოდნენ. ერთხელ ყა-
ენმა ეს მოსამსახურები თვისკენ იხმო, მაგრამ გათახსირებულ
ქართველთ მონებმა ყაჯარის დაძახება დროზე ვერ შეიტყვეს,
დროზე ვერ მივიღნენ სისხლის მსმელს ყაენთან. ყაენი გაჯ-
ავრდა, როცა მონები მივიღენ, იგი გაცემლდა და დაუ-
ყვირა:

თქვე გიაურებო, არ გესმისთ, რომ გეძახდით.

ვერ გავიგეთ მზისა და მთვარის ფასო, მიუგეს მოწიწე-
ბით მონებმა,

თქვენ კაი ყურები არა გქონიათ, მე გიჩვენებთ მაგის
წამალს.

საჩქაროთ დაუძახა კარის კაცთა და მრისხანის ბრძანე-
ბით მიუღო ასე:

ამ გიაურებს კაი ყურები არა აქვსთ, წაიყვანეთ და ეხ-
ლავ ორივეს ყურები დასჭერით, რომ შემდეგისათვის. კარგათ
გაიგონ ჩემი ბრძანება. ბრძანება მალე შეასრულეს, წაიყვანეს
საბრალო მონები და შეკბრალებლათ ორივეს დასჭრეს ყუ-
რები. ყურების დაჭრის სიმწვავისაგან მათ მწარეთ ტირალი
მორთეს. ტირალი ყაენმა გაიგონა, საჩქაროდ დაუძახა ამ
შშვენიერ ქართველთ ყმაწვილებს და ასე უთხრა:

თქვე გიაურებო, ჩემი მოწყალება თქვენ განა ერე მიი-
ღეთ, თქვენ მადლობელი არა ხართ, რომ საქმე ანუ სასჯე-
ლი ყურების დაჭრით გაგითავდათ. კარგით, ხვალ გიჩვენებთ, მე
აქვენ საქმეს. დაუძახა საჩქაროდ კარის კაცთა და შეუბრა-
ლებლად უბრძანა შემდეგი:

ხვალ, ეს გიაურები გაიყვანეთ და ორივეს თავები მოჰ-
კვეთეთ. მეორე დღეს ბრძანება შეუბრალებლად იქმნა აღს-
რულებული. ამბობენ, რომ ორივე ეს ყმაწვილები თავალის
შვილები ყოფილან. ყველა ამ ქართველთ საკურის მონების
უფროსათ ქართველივე საკურისი თავადი სუმბათაშვილი ირი-
ცხებოდა, რომელიც აღრიღვანეუ იყო სპარსეთში. ტა-
ყანილი და ქვე გარდაიცვალა. 1889 წლის თათრობაზე გა-

დასული. ეს სუმბათაშვილი მომსწრე იყო ირაკლის, გორგის და კარგი ზეგობარი ალექსანდრე ბატუნიშვილისა. სუმბათაშვილი სახელოვანი ვაჟკაცი ყოფილა და შირომ გამოასაჭრისეს, ისპანიდამ განთავისუფლებულს თვით ბებიაჩემს ენახა ეს სუმბათაშვილი და მასთან მცხეთელი სალიხაც, ვისის მოთხოვნითაც ვსწრო. და რომელ მოხუცმაც ძრიელ ბევრი ამბები იკოდა სადიხაზედ.

ზემო ხსენებულ ყმაწვილების უსამართლო სასჯელს მცხეთელი ან ღრიაც კარგად უშესერდა. მას გული დაეთუთქა, ცხარეთ იტირა, მღულარე ცრემლები დაღვარა, მაგრამ რას უშველიდა. თვითი ეშინოდა, რომ ოდესმე იგრც ამ დღეებში არ ჩავარდნილიყო, ამის შიში მით უფრო ჰქონდა, რადგანაც ალა მაჰმად ხანი სისხლით ვაუმაძლარი იყო, მან თურმე ძრიელ ბევრი ყმაწვილები დაახოცვინა. ახლად გათათრებულ ქართველთ გარდა მუსულმანებსაც ხშირად ახოცვინებდა, ზოგს უბრალოდ, უმიზეზოდ, ამით ყრილობდა თვის ჯავრს. ისეც მომხდარა ხოლმე, რომ ხშირად საღმე ახალ გაზრდა ცოლქმარნი უნახავს, მათი ერთობა დიდად სწყენია, შეშურებია, უკანასკნელ იგინი დაუხოცვინებია და მით დაუკმაყოფილებია თვისი შხამიანი წადილი. ასე ის საქციელით მან მთელს ირან ში ერთობ ცუდი. სახელი დაიმსახურა. ახალგაზრდა და ცქვიტ ქართველ სადხამ ყაჯარს ამჰები კარგად იციდა, მიტომ უფრო ეშინოდა, რომ ოდესმე მეც არ მომიღოს ბოლოვო. სადიხა, ანუ ანდრია მცხეოლი იყო, შესანრშნავი ღონისა, თავის დროს, იგი ტალამხანაგებში პირველ ღონიერ ყმაწვილ მოჭიდავეთ ითვლებოდა, ბევრს ერეოდა საკვირვლად.

მასთანვე ლაპარაკიც მარილიანად სცოდნია, თავის დროს კვალა. მაღალ ნიჭიერიც ყოფილა, იგი გაზრდილა სკეტის ცხოველის სასორის სკოლაში. სკეტი ცხოველის სკოლა ადრიდგანვე ასესებობდა, იგი გაუქმებულ იქმნა 1795 წლის შემდეგ დროის ქართველთა

ველარ მოიცალეს სვეტი ცხოველის სკოლის გახსნა. პატარა ანდროს თავის მაღლიანი წიაღი სვეტი ცხოველის სასწავლებლისაგან ჰხევდრია, იქ განათლებია გონება, იქ ანთებია გულში საქართველოს სიყვარული, მისი გაუქრობელი ლამპარი. მაშინ ანდრიასთანა ბიჭები საქართველოში უხვად იყვნენ, ყველა მათგანს უდიდესად სწამდა ჯერედ ზნეობა, სინილისი, ქრისტიანობა და, მერე ქართველთ განმახათლებელი წმიდა ნინო, საქართველო და მისი პატივის ცემა მაშინდელ დღროში, სკოლის გარეშე, მშობლებიც ამზადებლენენ ბავშვებს ასე:

შვილებო, გაიზარდენით, იცანით ოქვენი ქვეყნის გაჭირვება, ეცადეთ, რომ მხენ ვაუკაცები გამოხვიდეთ. სადიხა 8 წლიდამ 14 წლამდე სულ მის სამზადისში იყო, რომ თოფის სროლაში კარგად დახელოვნებულიყო, მერე ომში წასულიყო და ქვეყნის წინაშე ვაუკაცობით თავი გამოეჩინა, მტერს გულადად შებრძოლებოდა. მომსწრე კაცებთაგან გამიგონია, რომ მაშინ 15—16 წლის ყმაწვილები ისე ეომებოდნენ მტერს, როგორც კარგნი ვაუკაცნიო. მაგალითებრ სამას არაგველებში 200—16—18 ახალგაზრდა ბიჭები იყვნენო, მერე ამათ რა ქმნეს, იშვიათი საქმე, მაგალითია ჩვენს ისტორიაში, მშვენება თუშ-ფშავთ ახალ-გაზრდებისო. საქართველოს წმიდა სიყვარული იქამდის იყო აღორძინებული იმ დროის ქართველთ შორის, მათ ისე უდუღდათ ეს ნაკადული გულში, რომ მეომართ, რაზმებს თვით ქართველთ დედა-კაცებიც კი ეცელებოდნენ.

მართალია საქართველოს გაჭირვება აღგა, მართალია ხშირად მისი მანათობელი ლამპარიც ბნელდებოდა, უკანასკნელ დღოს სხივიც ქრებოდა, მაგრამ მხენ და ერთგულ მამული-შვილების მეოხებით არც ქართველთ მტერს აღგებოდა კარგი დღეები, მათ ქართველნი ისე ულეტდენ, ისე სწყვეტდენ როგორც ცხვრის ფარას. ასეთ ღირს შესანიშნავს გმირობის და ვაუკაცობის ცნობებს ჩვენის „ქართლის ცხოვრების“ გარდა

თვით სახალხო ლექსებიც ხომ უხვად გარდმოგვცემენ. ქართველი ერის სული და გული . ამ ლექსებიდამ და ზეპირ თქმულებიზამ სხას, ეს ლექსები და თქმულებანი სარკეა მნე და ვაჟკაც განვლილ დროთა. ქართველთ ცხოვრებაში ვისაც უნდა გაიცნას დიადი ქართლის ცხოვრება, მაშინ იმან ჩაიხდოს ქართულს სახალხო ლექსებში, თქმულებებში ჭ იგი იქ დაინახავს ქართველ ერის ცხოვრებას, ქართველს გმირების წამებას, მათს აურაცხელს ტანჯვას, საქართველოს თვით არსებობისთვის უშურველად თავის შეწირვას. ასე იყო აღრე ქართველთ ვითარება, ასე იღვწოდენ მამულისა და ერის დასაფარავად ქართველნი და მათ შიტომაც შეინახეს თავიანთი ტკბილი და საყვარელი ქვეყანა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ქართველნიც ისევე დავემხებოდით 700—800 წლის წინეთ, როგორც კავკასიის სხვა-და-სხვა სახელმწიფონი დაეცნენ თაორების მეოხებით. მაგალითს გვიმტკიცებს არმენიის დაცემა ჩვენზე 800 წლის წინეთ, ვიზანტიის 400 წლის წინეთ, ურუმიის ქალდიის 800 წლის წინეთ. ბალაკანის კუნძულთ სამეფოების 400 წლის წინეთ. ჩვენ ქართველთ კი თავი შევინახეთ, სამთელსავით ვდნებოდით, საყოველთა-ოდ ჩვენი სამეფოს მოსპობას თაორები კერ ახერხებდენ.

ქართველ ერის ასეთი ბედნიერების მიზეზები იფარებოდა იმაში, რომ მაშინდელ ქართველთ შორის წრფელის მამულის შეილობით აღვსილი გლეხკაცნე შრავლად იყვნენ, მცხეთელ ანდრიასთანა ცქიტ და მალხაზ ბიჭებს, ჩვენ უველა ქართველის ოჯახში კნახავდით. დრო იყო მაშინ ისეთი, ყველა ქართველი თავის დროის შვილი იყო, თავის დროის დიდების აჩრდილი, ნაშთი. თავ-განწირულების, ყველას თავ ქვეშ ედვა თოფი, დამბაჩა, ხმალი და ხანჯალი. ქართველი რომ თავის დროის კვალად ასე არ ყოფილიყო მომზადებული, მაშინ იგინი ამოდელია მუსულმანთ მტრებთ შუა მომწყვდეული სრულიად ვერას გააწყობდენ, ერთს საუკუნეში გაპერებოდნენ. მთელი საბარსთ თსმალნი ჩვენს სამშობლოზე

ნაგარდობდნენ, ჩვენთ ნაშთებს ჭ ტაძრებს ანგრევ-აქცუევლენ, მაგრამ მძღვრად ჩვენს დაცემას მაინც ვერ ახერხებდნენ, ქართველნი იმოდენად ძრიელ აჩრდილნი იყენენ მხნე მამა-ჰაპათა გმირობის, რომ იგინი მაინც თავისუფლად იფარავდენ საქართველოს დაუძინებელ მტრებისაგან. ასე გადარჩა საქართველო თავის დაუძინებელ მტრებს, ისეთი შვილები ჰყანად ძეველად საქართველოს, დიდიდამ დაწყებული პატარამდე, ყველა საქართველოს სიყვარულში ლევდა სულსა და გულს. ყველა ანდრიასავებ ილვწოდა თავის საყვარელის კეკლუცის საქართველოსთვის. დიალ, ილვწოდა და მათს გმირულ ღწვას არც ჩვენი ისტორია დაიდუმებს, აი დღესაც ვშლით წინაშე მყითხველის ერთს ახალგაზრდა ქართველის გმირის ცხოვრებას.

როგორც ვსთქვით, მცხეთელ ანდრია ტყვეობაში აღა მაჰმადხანს ახლდა გვერდით, მგზავრობაც მასთან მოუხდა, მცირე დროის განმავლობაში ანდრიამ სპარსული ენაც შეისწავლია; ყაჯარის მონობას და მონურს გარემოებას დაემირჩილა. საქართველოში მისი მშობლები სტიროდნენ მით უფრო, რადგანაც ისიც შეიტყეს, რომ ანდრია მოკლული არ არის, არამედ აღა მაჰმადხანს ახლავს გვერდითო, იმედი ჰქონდათ, რომ 1796 წ. ზაფხულში, ანდრია საქართველოში დაბრუნდებოდა, რადგანაც საქართველოს სამეფოს ხარჯით, სპარსეთიდამ ქართველთ ტყვეების გამოსყიდვაც იწყეს, ბევრი ტყვე დაბრუნდა, ბევრი გზაში მოკვდა, ბევრი კიდევ არ გამოუშვეს იქიდამ, არ გამოუშვეს ისინი, ვინც უფრო ტან-თვალადნი იყვნენ. შათშივე მოჰყვა საბრალო ანდრია, თუმცა ტყვეების დახსნის დროს ანდრიასაც ჰქონია იმედი თავის დახსნისა, მაგრამ ნატვრა ვერ აუსრულდა, მისსავე ბედის წრეში სხვა-და-სხვა ქართველთ შვილებიც მოჰყვნენ. ყველა რჩეული ყმაწვილები ყაჯარის ბრძანებით დაკოდილ ჰყვეს, გამოსასჭრისეს. ამ დღიდამ ანდრიამ გულში ჩაინერგა სვავის მაჰმადხანის მტრობა და ოდე-

მე სამაგიეროს გარდახდა. ამის აზრისანივე იყვნენ უველა ის ქართველნი, რომელნიც კი : სპარსეთში იქმნენ პყრობილნი, საქართველოში არ გამოშვებული, იქ დაკრძილნი. ანდრიას გულში სასტიკათ ზღვავდებოდა სვავის მაჰმადხანის მტრობა. პატარა ანდრიას და მის ამხანაგებს თვალწინ ხატათ და სარკეთ ედგათ ის წამების სურათი, როცა ამ სვავმა საქართველო დაარბია; როცა მოუმზადებელ ქართველებს მოულოდნელად დაეცა თავს, მოსპონ თფილისი, დაწო უველაფერი, ბევრს ალაგას უხვად ულიტა ქართველობა. უველა ამ უბედურებათა მოგონება პატარა ვაჟკაც ანდრიას გმირის ცეცხლით ანთებდენ, გული და სული იუტირდებოდა, როცა კი მოიგონებდა საქართველოს ტანჯვა-ვაებას, რაც მათ თვალთ წინ მოხდა მძლავრის სვავის მეოხებით. პატარა ანდრიამ სპარსეთიდამ საქართველოში დაბრუნებულთ ბევრ განთავისუფლებულ ტყვეს დააბარა შემდეგი:

თუ სადმე ჩემს მშობლებს ნახავთ, აუწყეთ, რომ ანდრია ცოცხალია, იგი საქართველოს მტრის ყაჯარის მსახურია, ჩემთვის ნუ სწუხან. თუ კარგად ვიქენ, საქართველოს უძლურებას ამ ძალის არ შევარჩენ, როცა იქმნება სამაგიეროს გადაუხდით. ასეთი ცნობები ქრონიკით შორის ამბათ ვრცელდებოდა, მის დაჯერება კი არავის ჰქონდა, რადგანაც სპარსეთში პყრობილ ქართველ მონისაგან ვინ რას წარმოიდგენდა, ვინ მოიფიქრებდა, რომ საქართველოს სისხლის მსმელს მტერს საქართველოს გარეშე, ქართველთაგანი თვით სპარსეთშივე გამოუჩნდებოდა.

დრო ნელ-ნელა მიღიოდა, სხვა-და-სხვა ჭორები საქართველოდამ სპარსეთში მაჰმად-ხანის წინაშე შინათ გამცემთაგან ხშირად მიფრინავდენ, მტერს კვალად ასმენდნენ, რომ მეფე ერეკლე და მისი შვილი გიორგი სახუმრო საქმეს არ ჩადიან, მათ სამუდამოდ გადასწყვიტეს რუსეთთან დაახლოება, მისვლა-მოსვლაც მოახშირეს, რუსის კაცებიც ხშირად მოდიან საქართველოში, რუსის ჯარის მოსვლასაც ელიანო.

მალე წყეულმა კაცები გამოგზავნა და ერეკლე მეფეს კითხვა მისცა ასე:

• ერეკლე მეფე! შენ, მართლა აპირებ ჩემს ორგულობას, შენ არ გინდა, რომ მე ხარჯი მაძლიო, გინდა რომ ასეთ მორჩილებას თავი გაანებო, როგორც თქვენ ჩვენის წინაპრების ყოფილხართ? ამის მე არა ვიცი რა, ამას მარტოთ ახლა მასმენენ. თუ მართლა ასეა, მაშინ იყოდეთ, რომ თქვენ ამას ვერ მოესწრებით, რუსების მოსვლამდე მე მოვალ მანდ და სულ ცველას დაგამხობთ. საქართველოს ტახტს მე სხვას ჩაეცილებ. ვიმეორებ გაფრთხილებას, ორეულ წელს, 1797 ივლისის გასვლამდის, მთელს საქართველოს დავიმორჩილებ, თქვენც კაი დღე არ დაგადგებათ. თუ ეს ასე არ არის და თქვენ ჩემი ერთგულები ბრძანდებით, მაშინ ამის ცნობა შეტყუბინე, რომ მეც დავშოშმინდე.

შეფერ აცნობა შემდეგი:

ჩვენ, თქვენთან საერთო აღარაფერი გვაქვს; თქვენ ჩვენ ისეთ დღეში მოგვათვასეთ, რომლის შემდეგაც ჩემი თქვენ-დამი ერთგულება შეუძლებელია. მოულოდნელად, ქურდულად, ავაზაკურად ავზე დამეცი, სხვების სიტყვით და მტრობით ქალაქი წამიხდინე, მთელი თფილისის სასახლეები დამიწვი, შენგან რამდენი კიდევ სხვა გაჭირება მომადგა კარსა, ცველას ვერ მოგითვლით, დღეს კი თქვენ მე მუქა-რებას მითვლით, დამონებას და თან მეგობრობას ითხოვთ! მე შევიყვარო ის კაცი, ვინც ჩემი მტერია, ვინც ჩემის ერის წინაშე ზიზლი დაიმსახურა, ეს როგორ შეიძლება, მე რომ დაგიმეგობრდე, მერე ჩემი ერთ რეა იტყვის, იგინი როგორ შეხედვენ ჩემს ასეთ საქციელს. არა, უს არ შეიძლება, მე ჩე-მებურად უნდა მოვიქცე, როგორ გრძელოთ, თქვენც ისე მოიქცეთ, მობრძანდით და ჩემს უს დაგხვდებით, ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს. ან ჩვენა და თქვენ, საქმე სამუდამოდ გავათაოდ. მეფის ასეთი პასუხი აღა მაპმადხანს დიდად ეწყინა, იგი მეორედ აღმხედრდა და საქართველოზე უანასკოვი

გასალაშქრავად გამოემგზავრა. მალე მოაღწია ბაქოს, იქიდამ განჯას, აქედამ მოუწოდა შაქ შირვანის ხანს. თავის ჯარით, ერევნის, განჯისას, შუშისას და ყველა ამათის ლაშქრით მალე აპირებდა ოფილისში მოსვლას. შუშიდამ გამოსვლის პირველ დღეს, ერთ ალაგას ჩამოხტნენ ლამის . გასათიებლად. ამ მგზავრობაშიც ყაჯარს სადიხა ემსახურებოდა და ერთი ამის ამხანაგი ლეკის ბიჭი, იმ ლამეს, ჯარში, აღა მაჰმადხანის ფული დაიკარგა, დაკარგვის ამბავი ყაჯარმა არ იცოდა, უცელას ეშინოდა. ნამეტურ სადიხას და მის ამანაგს, ამათ ჩხუბიც მოუვიდათ ერთმანერთში, ჩხუბი ხანმაც შეიტყო, მას ძლიერ ეწყინა, სადიხას და მის ამხანაგს სასტიკად დაემზექრა, გათენდა მეორე დღე, ყეინმა სადიხას უბრანა:

სალოცველი ხალიჩა გაშალე და წყალი მომართვი.

სადიხამ ხალიჩა მალე გაშალა, ვერცხლის სურით წყალი და ტაშტი მიუტანა. მაჰმადხანმა დაასხა წყალი ტაშტში, მალე დაიბანა ხელ-ფეხი და განემზალა სალოცვავად. ლოცვის დროს, სადიხას სურა და ტაშტი უნდა აელო ხალიჩიდამ, მიელაგებინა, ტაშტის აღების დროს, უკბად მარცხი მოუხდა, ტაშტიდამ წყალი ხალიჩაზე დაელვარა, ეს წყალი მაჰმადხანს მუხლებ ქვეშ შეუდგა, მაგრამ მინამ ლოცვა არ გაათავა, ხმა არ ამოიღო. საბრალო სადიხაც სასტიკად შეშინდა, სახეზე ნაცრის ფერი დაედო, სუ კანკალი დაწყებინა. მინამ ხანი ლოცვას გაათავებდა, მინამ იგი მიწაზე დაემჭო. ლოცვის გათავებამდის მაჰმადხანს გული ბრაზით აევსო, სისხლი ყელში მოებჯინა, აღარ იცოდა რა ექმნა, როგორც იქმნა აღშფოთებით გაათავა თუ არა ლოცვა, მაშინათვე სადიხას შიგარდა:

ეს რა ქენი შე წყეულო, შენ შემიპილწე დღეს მე ლოცვა, შენ კიდევ გიაურობ, ეს შენ განგებ ქენი, განგებ მოხდინე. შენ მტრობ მე. კარგი, მე გიჩვენებ შენ საქმეს, ხვალ, ჯუმას, როგორც გათავდება თუ არა ჩვენი ლოცვა, შენ და, შენს ამხანაგს თავი მაშინვე მოგეჭრებათ. სადიხამ ტირილი

დაიწყო, ბოდიში და პატიობის თხოვნა ვერ გაბედა. ამ ტროს, იქ შირვანის ხანიც იმყოფებოდა.

ამას საღიხა ძლიერ შეებრალა. ყაჯარს საღიხას პატივობა სთხოვა.

მზისა და მთვარის ბადალს დიდებულს აღა მაპმადხანს, ჩვენ ყველა ხანები საღიხას და მის ამხანაგის პატიობას გვივრებით, გთხოვთ, რომ საღიხას მიუტევოთ. ჩვენ დაგვდეთ მისი ვალი.

არა, ეს არ შეიძლება, მე მასზე გაჯავრებული ვარ. იგი გიაურია, გულით ქართველია, ჩემი ლოცვის დროს განგებ დაღვარა წყალი. მისი პატივი არ შეიძლება. ხვალ პარისკევია, როგორც გათავდება თუ არა ჩვენი ლოცვა, მაშინათვე საღიხას და მის ამხანაგს თავები მოეკვეთებათ, პირველი მის-თვის, რომ საღიხამ დღეს ჩემ წინ, ლოცვის დროს, მასხარობით წყალი დაღვარა და მეორე მიტომ, რომ გუშინ მათ ჩემი ფულიც დაკარგეს. შაქ-შირვანის ხანმა ველარა უთხრა რა სისხლის მსმელს სკავს.

თავ-მკვეთლებს ბრძანება მიეცათ, რომ ხვალ, მზათ იყავით, ჩვენი ლოცვის შემდეგ საღიხას და მის ამხანაგს თავები უნდა მოჰკვეთოს. თავის მკვეთლელნი მეორე დღისთვის მო-ემზადნენ. ეს ბევრს ეწყინა, მაგრამ ვინ რას იზამდა, აღა მაპმადხანის გოროზ გულს ვინ დაამებდა, მის ბოროტს ბალ-ლამს ვინ დაშრეტდა, არავინ, იგი მტერი იყო ყველასი, შე-უბრალებელი, უსამართლო, კაცის სისხლის მსმელი, ნამე-ტურ ქართველი ხალხის.. მის ურჯულო გულს მარტოდ სა-ღიხას უმანკო სისხლის დაღვრა და აწყნარებდა, მარტოდ ეს მისცემდა მის ბოროტ სულს შვებას. ხუთშაბათის საღამოშ მოატანა. საღიხა და მის ამხანაგს ლაპარაკი მოუვიდათ, სა-ღიხამ უთხრა:

— ხვალ ჩემი განკითხვის დღეა, მოდი ძმაო და ეხლა მა-ინც შევრიგდეთ, უკანასკნელად მმურად დავიხოცნეთ.

კეთილი, ძრიელ კარგი, მეც მენატრება შერიგება. მოუგო საღიხას ამხანაგმა.

ესენი მალე დაკავშირდნენ, მალე თავიანთ ბედზე საუბარი ჩამოაგდეს, მერე პირობაზე ფიცი დადგეს და ჩუმად საუბარი დაიწყეს, ამათ საუბარს შირვანის ხანმა ყური მოჰკრა, რაღაცა შეატყო, ეპვი აიღო, მაგრამ ხმა, კრინტი არ დასძრა. არა ვის არაფერი უთხრა, რადგანაც გარდა ჯავათ ხანზიად ოლლის, ალა მაჭმაღხანის ყველა ხანებს სქირდათ ჯავრი, ყველა იმას ნატრობდა, რომ ეგები საჭურისი მალე ჩაძლებულიყო. განჯის ხანს გარდა, ერეკლესთან სხვა ხანებს სამტრო არა ჰქონდათ რა. ესენი თავიანთ ჯარით საქართველოზე ალა მაჭმაღხანის ბრძანებით მოდიოდნენ, ეს რომ ასე არ ექმნათ, მაშინ მათაც დაარბევდა.

III

ხუთშაბათი დღე დაბინდდა, საღიხას და მის ამხანაგსაც უახლოედებოდათ განკითხეა, ესენი დალონებულ იყვნენ, ორნივ ერთმანერთს გაფითრებით უმზერდენ, იგინი დიდად უკასაყოფილონიც იყვნენ თავის უწყალო მხვედრზედ, საღიხაშ ცელარ მოითმინა და თავის ამხანაგს ასე მიჭმართა:

ნეტა რა დავაშავეთ ისეთი რამ დანაშაული, რომ ხვალ ჩვენ თავები უნდა დაგვჭრან. ეს განა სამართალია?

ამხანაგებმა ერთმანერთს ხელი ხელს გადახვიის, გადაჰკოცნეს და მერე ცრემლებიც მოერიათ თვალებში, ერთს მეორე ებრალებოდა სასიკვდილოთ.

ას ნეტა ჩვენმა ხანმა მაინც იკითხოს მიზეზი ჩვენის დახოცეისა.

სთქვა ლეკის ბიჭმა.

მაგას ვინ იკითხავს უსამართლოს ყაჯარისაგან: იგი სისხლის მსმელია, ჯერ ვერ გაძლა კაცის სისხლის სმით მისი ბოროტი გული და მიტომ უნდა ჩვენი სისხლის დაქცევა. სთქვა საღიხამ. ამათ საუბარმა რამდენსამე ხანს გასტანა, ერ-

თმანეთს ფიცი მისცეს მტკიცე პირობაზე, მერე ერთმანერთს განეზიარა თავის ჰაზრი. სადიხამ გაუტყდა ამხანაგს და მიმართა ასე:

მეგობარო, გეტყვი შემდეგ რჩევას და სხვა შენ იცი, ვინემც ამ ძალმა ჩვენ დაგვხოცოს ხვალა, ამაღამ მოვახერხოდ და ჩვენ მოვკლათ იგი, ამით რამდენ სიკეთეს დავთესავთ ქვეყანაზე. ჩვენ, ჯანდაბას, ხვალ დაგვხოცონ, ასე იქმნება თუ ისე, ეს ხომ მაინც არ აგვიდება.

ოო, მეც ეგ უნდა მეთქვა, მაგრამ შენი მერიდებოდა, მეც მაგ ჰაზრის ვარ, ჯაან ბიჭი, შენი კი ჭირიმე, შენი, ძალიან კარგი.

ამათ საუბარი ქმნეს. მასთან თათბირი და უკანასკნელ გადაწყვიტეს, რომ ამაღამ ძილის დროს, როცა მთელი ჯარიც დაიძინებს, მის გუშაგთაც მიეძინებათ, სწორედ იმ დროს, ჩვენ უნდა აღა მაჰმადხანი მოვკლათ. უსათუოდ, ამათ საუბარს ყური მიაჰერა შირვანის ხანმა, მათზე ალლო დილო, მაგრამ ხმა არ გასცა, როგორც ვსთქვით ზემოდ, გახარდა კიდეც, რადგანაც მას აღა მაჰმადხანის მტრობაც ჰქონდა. საღამო დაბნელდა, მალე მოვიდა ლამის ლოცვის დროც. მაჰმადხანმა პური სჭამა, მალე „ახაშამ ნაშაზიც“ ილოცა და მის შემდეგ ზაწვა და დაიძინა, ამ ღამესაც სადიხას და მის ამხანაგს უნდა ემსახურნათ მისთვის, მის კარავში უნდა გაეთიებიათ ღამე და ეყურებინათ მისთვის, რომ არავის რა ექმნა.

შეა ღამისას აღა მაჰმადხანი ღრმა ძილში შევიდა, სადიხას და მის ამხანაგს კი გული უფანცქალებდათ, საშინელს მდგომარეობაში .იყვნენ ჩაცვინული, არ იცოდენ, როგორ, რისთვის მოევლოთ ხელი, როგორ მოეკლათ თავის სისხლის მსმელი. უკანასკნელ ამათ გარდასწყვიტეს საქმის შესრულება, ჩუმალ შევიღნენ მაჰმადხანის კარავში, თან შეიტანეს წინადვე მომზადებული გალესილი ცული და ხანჯალი. ერთ წუთაში, მათ ორივემ ერთად დაჰკრეს თავში და ერთის მძ-

ლავრის დაკვრით თავი ისე მოუმორეს ტანს, რომ მაჰმადხანს კრინტის დაძრაც ვერ შესძლებია.

ამათ მოქმედებას შირვანის ხანი თვალ-ყურს აღევნებდა, იგი კარგად მიხვდა, რომ ამ ბიჭებმა რაღაც ქმნესო, აღა შაჰმადხანი უნდა მოეკლათ, მაგრამ ეს როგორ მოხდა, ამათ ისე. როგორ მოკლეს, რომ მან ხმის ამოღებაც ვეღარ მოახერხდა. მალე ამ ხანმა ეს ბიჭები თავისთან მიიხმო, ცნობა ჰქითხა, იგინი გამოუტყდნენ. ხანმა საქართველოს ფული აჩუქა, სხვა ტანისამოსი ჩააცო და გათენებისას უთხრა:

აბა, ახლა თქვენ იცით, გასწით და გაიქეცით თქვენის ქვეყნისკენ, თავს უშველეთ.

ესენი მაშინათვე გაიქცნენ მარდათ და თავს უშველეს. გათენდა დილა, ლაშქარმა იწყო ალკაზმვა, მაგრამ მაჰმადხანი კი არ იღვიძებს. მის გაღვიძებას ვერავინ ბედავს. უკანასკნელ ისევ შირვანისხანი მივიდა კარავთან, თან სხვა ხანებიც მიიყვანა, ჯარებიდამ შესძახეს აღა მაჰმადხანს, მაგრამ მისგან პახუბი არა ეძლეოდათ რა. უკანასკნელ მათ გაბედეს და კარებს ხელი შეახეს, გააღეს და შეიხედეს შიგ. კარავში ნახეს ის, რასაც შირვანის ხანიც ელოდა. საშინელი სურათი: აღა მაჰმადხანის თავი ტანს მოუმორებული ძირს ეგდო და ტანი ლოგინში მთლად სისხლში მოსვრილი. ამ მოულოდნელმა ამბავმა ხანებს თავ-ზარი დასცა, ჯარში ურია მული განისმა, ყველა განცვიფრებით ამზობდა: რომ აღა მაჰმადხანი მოუკლავსთო! მკვლელების კვალს ვერ. მიხვდენ, განჯის ხანს მზე დაუბნელდა, ლაშქარიც აირია, ხანებმა სთქვეს:

ჩვენ ერეკლე მეფესთან სამტრო არა გვაქვს რა. ეხლა ჩვენი მასთან ომის ღრო არ არის, ყველამ ჩვენს საბრძანებელს უნდა უპატრონოთ.

ყველა ხანები თავთავიანთ კუთხეებისაკენ წავიდენ, თავთავიანთ ჯარიც თან წაიყვანეს. სპარსეთის ჯარი დარჩა შარტოთ, ამათგან საქართველოზე გამოლაშქრება შეუძლებელი იყო, პირველი მიტომ, რომ იგინი ცოტანი დარჩნენ, გარდა

ამისა მაჰმადხანის ლეშიც სპარსეთში უნდა წაეღოთ დასამარხავად. სპარსეთის ჯარმაც შეუძლებელად სცნო საქართველოზე გამოლაშქრება, რადგანაც მათი ჯარის რიცხვი 8000 კაცზე მეტი აღარ იყო, ისინიც მაჰმადხანს უგულოდ უმზრდენ, შიშით ემორჩილებოდნენ. სპარსეთის ჯარი უკან დაბრუნდა, მაჰმადხანის ლეში წაიღეს. ასე ჭ ამ გვარად საქართველო გადარჩა ამ მოუსვენარ სისხლის მსმელის მეორე გალაშქრებისაგან. ვინ იცის, იქნება ამ გალაშქრებით მაჰმადხანს საქართველოსთვის არაფერი დაეკლო, იქმნება მას შენანებაშიაც ჩასთვლოდა მეორედ საქართველოზე გალაშქრება, ვინ იცის, იქმნება ქართველთ მუსრიც გაევლოთ და სამაგიეროც გადაეხადნათ, იქმნება ამით ქართველთ დიდათაც ესარგებლათ, ყველაფერი შეიძლება. ვინ იცის, ისეც შეიძლება ვიფიქროთ და წინააღმდეგაც. ხოლო ჩვენ იმასაც ვიტყვით, რომ მეორედ მოსვლით აღა მაჰმადხანი ვგონებთ ვერას გააწყობდა, ქართველნი მასზე გაგულისებულნი იყვნენ. სასტიკს ბრძოლას გაუწევდენ. მთლად დასცემდენ, დიდათაც შეაწუხებდენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, მცხეთელმა ანდრიამ უსამართლოს საართლიერად მოსწრა თავი, მის ბინძურ სისხლში გაისვარა ხელი, ხოლო ამ ბინძურობის გასვრით რამდენიმე სულიც დაიხსნა უბრალოდ სისხლის ღვრისაგან. დაუმატებთ, რომ ქართველთ რაც უნდა ეომნათ და მტერი დაემარცხებინათ, მაინც თვითაც სასტიკად გაუკირდებოდათ, რადგანაც საქართველო ორი წლის წინეთ აოხრებული იქმნა ამ მტრისაგან, ქართველნი ჯერ წელშიაც არ გამაგრებულიყვნენ, ქალაქი არ გაშენებულიყო და აბა ასე უცბათ რაღას გააწყობდენ. გამარჯვება შეიძლებოდა ქართველთ მოხდენოდათ, ხოლო ამ გამარჯვებას დიდი ძალი ქართველობა კი შეაწყდებოდა, დიდი ზარალი მოხდებოდა, დიდი არევ დარევა.

მცხეთელ ანდრიამ საქართველოში თავისუფლად მოაღწია. მის ქებას ხალხში საზღვარი არა ჰქონდა. იგი მალე წარსლგა მეოთე ერეკლეს წინაში ყოველისფერი დაწირი-

ლეგბით მოახსენა. ანდრიას თავზე ხელი გადაუსო, აქო მისი ყმაწვილ კაცობა და მერე შუბლზე აკოცა. ანდრია სადილად მეფესთან დარჩა, სასახლის ქალთა და კაცთა აუარებელი სა-ჩუქრები მისცეს, მეფემ უთხრა:

შვილო, ანდრია, იკურთხოს შენი დედის ძუძუები, რომ მაგეთი კარგი, ყოჩალი მამულის შვილი გაუზღიხართ.

ანდრიამ მადლობა მოახსენა.

მეფემ ამის მშობლები მოიხმო თავისთან, საკმარისი წყა-ლობა მისცა. ანდრიასაც კითხვა მისცა:

შენა, შვილო, ანდრია, რას ითხოვ, რითი დაგაჯილ-დოვო. მითხარ ჩემო საყვარელო ქართველო?

ანდრია ჭკვიანი, შორს მხედველი ყმაწვილი კაცი იყო, მასთან მწიგნობარიც, მან კარგად იცოდა თავის სხეულის გარემოება, ამიტომ მეფე არ შეაწუხა; არა ინდომა რა და ასე მოახსენა:

მე, დიდებულო მეფეო, თქვენი კარგად უოფნის მეტი სხვა არა მსურს რა, სხვა არაფერი,— მე მსურს მწირ ბერად შედგომა, სხვა, ჩემს ცხოვრებას, აბა რა დანიშნულება უნ-და ექმნეს, არაფრის, ისევ მორჩილებას ვისურვებ, რადგანაც ჯანითაც უძლური ვარ. მეფემ სდუმნა ამაზე, მეჩე მიუგო.

კეთილი შვილო, ნება შენი ასრულდეს.

ეს აშბავი მალე კათალიკოზს ანტონს II-ეს მოახსენეს. ანდრია ბერად შემოსეს და იოანე ნათლის მცემლის ეკლე-სიაში მისცეს ბინა. იქ სცხოვრებდა მოსვენებით და ქართულ წიგნების კითხვაში ატარებდა დროს ეკკლესიაში მასთან ხშირად მოდიოდნენ სხვა და სხვა მნახავები და პატივს სცე-მდებ, ყველას ენატრებოდა ანდრიას ნახვა, გაცნობა და საუბარი, ყველა ლოცავდა და ქებით ახსენებდა ანდრიას სა-ხელს და ვაჟკაცობას, როგორც საქართველოს დაუძინებე-ლის მტრის თავის მომკვეთის და სისხლის დამღვრელის. ყვე-ლა ქართველი სიამოვნებით ამბობდა.

მართალია, აღა მაპმაღხანშა ჩვენ დაგვარჩია, მაგრამ ეს

უსამართლობა ღმერთმა მას დიდ ხანს არ შეარჩინა, მალე მოეკითხა ჩვენ სისხლის მსმელს, თვით ქართველის კაცისა-განვე მოელო ბოლო, ჩვენის სისხლის დამლევის სისხლიც ქართველის კაცის ხელით დაიღვარა, ქართველმა მოჰკვეთა მას თავი სამართლიერად. ეხლა ჩვენ დაშოშმინებული ვართ. ჩვენს მტერს ღმერთმა არ შეარჩინა ჩვენი ცოდვები და ჩვე-ნისავე ხელით მოელო ბოლო. იკურთხოს ანდროს მარჯვე-ნა. ანდრომ დიდხანს კი ველარ იცოცხლა, 1800 წლის შუა-რიცხვებში გარდაიცვალა. მისი პატიოსანი გვამიც ჩახურე-ბით მიისვენა თვის გულზე იმ სამშობლო ქვეყნის მიწამ, ვის ის სიყვარულით და სიბრალულითაც ანდრიამ თავის მტერს ერთის დაკვრით თავი მოაგდებინა.

აღა მამადხანის სიკვდილის შესახებ აღმოსავლეთის ერ-თა ისტორიის მცოდნე რუსის მწერლები სხვა ცნობებს გარ-დიოდვემენ. მაგალითებრ:

შუშის ხანს აღა მამადხანი გადაეკიდა, მალე შუშას მოადგა, ქალაქი აიღო, ხანი დააპატიმრა, ამის სახლში თვით დადგა. ერთ საღამოს, როცა ხოჯა ლოცულობდა, მის ოთა-ხში შევიდა საღის ხანი შაგისხსიაო(?) ეს საღიხა უფროსი იყო შაპის მთელის (კხრ ნოსანთა ჯარისაო. ყეინს ჯავრი მოუვიდა და საღის ხანს დაუყვირა:

— შე უმცირესო მონავ, როგორ გაბედე და ჩემს წინა-შე ფეხი შემოდგი ჩემს დაუძახებლივ.

— უდირსმა მონამ შეასრულა ბრძანება თავის პატონი-სა, რომელიც საფარ ალიმ გარდმომცა, მიუგო კანკალით და ცახცახით.

შაპის საფარ ალის დაუძახა.

— მე შენ როდის გითხარი საღის ხანის დაძახება? ჰკითხა შაპია.

— ნახევარ საათი გახლავსთ მას შემდეგ.

— სტუუ შე ძალლო! დაუყვირა შაპი და თან გულში ტყვია დაუმიჩნა, მაგრამ უცბათ. შეჩერდა.

— უმცირესი მონათ მონის ჭია როგორ გაბედავს ტყუ-ილს ზეცირის მღვთის და ქვეყნიური მზის წინაშე. იქმნება მავნე სულმა მომატყუა ჩემი ყურები, ვერ გაიგო ბრძანება თავის მბრძანებელისა.

— თუ შენ ყურებს კარგად სმენა და გაგება არ შეუ-ძლიანთ, მაშ მე ქეგნი არ მინდა, წალი და დაგჭრან. საფარ ალი გავიდა, ბრძანება მალე აღასრულეს, ყურები დასჭრეს. სალამოს შაპი თავის ოთახში იჯდა, ამ დროს, მას რაღაც მოელანდა, საფარ ალის დაუძახა, ეს მალე მივიდა, დასისხლი-ანებული ყურები და თავი შეხვეული. ჰქონდა.

— შენ განა ტირილსაცა ბედავ, მაღლობელი არა ხარ, რომ სიცოცხლე გაჩუქე და მარტოდ ყურები დაგეჭრა? ჩემს მოწყალებას არ კმარულობ.— შენ აბას, როგორ გაბედე ჩე-მის ოთახის გვერდით ხმა მაღლა საუბარი. ხვალ ორივეს თა-ვები დაგეჭრებათ, თქვენის და თქვენ გვარის საძაგლების თა-ვებით შამქორის მინარას ავაგებ. გვემისთ თუ არა, გადით, წალით. საფარ ალი და აბასი გავიღნენ და მწარეთ დაღონ-დნენ, მერე ფიქრებს მიეცნენ. იგინი დაკავშირდნენ და იმ ღამეს თავიანთ მტანჯველს პილის დროს თავი მოსჭრეს, მი-სი გვირგვინი გაქურდეს, სხვებმაც სახლი აიკლეს, ჯარი და-იშალა და უკან დაბრუნდა.

ეს ამბავი აწერილი აქვს დუბროვინს, აქედამ პოტომაც ისარეგებლა. დუბროვინიდამ 1867 წ. „უისკარში“ დაიბეჭდა ცნობა და პოტოდამ ბ. ი. ბაქრაძემ სთარგმნა და „მოამბეჭი“ დაბეჭდა. დუბროვინისაგან ეს ცნობები ჩვენ შეხამებულათ მიგვაჩინა, ასევე პოტოსი, საოცარია. ქართული ენა და მწი-გნობრობა მათ არ იცოდენ და ქართველების „შესახებ“ კი სწერდენ. განა შესაძლებელია, რომ აღა მაპმადხანს თავის ცხე-ნოსანთა ჯარის უფროსის სადის ხანისთვის ისე მიემართა, როგორც სწერენ, არა გვგონია, მართალია ყეინი აზიური დესპოტ ტირანი იყო, მაგრამ მაინც იგი ვერ გაუბედავდა ისე ხსენებას, რაღაცაც ცხენოსანთ ჯარის უფროსი ყოველი-

თვის გვერდს ეყოლებოდა. ესენი. სადიხას და უურებ დაჭ-
რილთ გვარტომობის შესახებ არას გარდმოგვცემენ. ჩვენ,
აღრე, ყველა ქართველის მოხუცისაგან შევიტყობლით, რომ
ყვინს ქართველებმა შოსტრეს თავიო. სადიხას ამბები თვით
ირაკლი II-ის და გიორგი XII-ის შვილებს და შვილის შვი-
ლებსაც უამბნიათ, ეს ამბები რუსეთში მყოფ პ. იოსელიან-
საც შეუტყვია, სადიხას სახელს და ცნობებს ესეც ახსენებს
ერთს ნაწერში. ისიც კი უნდა მოგახსენოთ, რომ 1795 წ.
შემდეგ, ქართველთა, თფილისში, მეფის სახლში კრება ქმნეს
და საერთოდ გადასწყვიტეს, რომ შაპი ქართველთ თვით სპარ-
სეთში მოეკლათ, იქვე უნდა აეგოთ მისთვის ანდერძი. ამ
საქმის შესრულებისათვის კაცებიც იქმნენ ამორჩეულნი; მათ
დაუყოვნებლივ უნდა შაესრულებინათ ერთს დავალება. მარ-
თალია ეს იქ ვერ მოხდა, შაპი სპარსეთიდამ დაიძრა და წა-
შოვიდა, მაგრამ მაინც საქმე ისე იყო მოხერხებული, რომ
იგი გზაში უნდა მოეკლათ, ორის პირისთვის რომ მას უუ-
რები არ დაეჭრა და ამას არ გამოეწვია მისი სიკვდილი, მა-
ინც იგი შუშას ვერ გამოახწევდა. სადმე გზაში გაუკავდე-
ბოდა დღე. ამის მოკვლის ამბავი გრაფმა გუდოვიჩმა რუსე-
თის იმპერატორსაც აუწყა (1797 წ. 20 ივნისს), მომკვლელთ
ვინაობას კი არ მოიხსენებს: ჩვენ ჩვენის მოსაზრებით უფრო
ქართულ ცნობებს და გარდმოცემას ვემყარებით, ასეც ამ-
ბობდენ ხოლმე: ხანის მკვლელნი ოთხნი იყვნენო, ორი ქარ-
თველი იყო და ორიც შუშელი სომეხი, ამათ წაახალისეს სა-
დიხა და ამათის ქადაგებით მოსჭრეს თავი სადიხამა და მისმა
ამხანაგმაო. როგორც გნებავდეთ, თქვენ ეს ისე მიიღეთ, მე
კი მიტომ მოვიყვანე აქ, რომ მით ქართველი ერის სულიე-
რი მდგომარეობის ცნობები და განძრახულებანი თავის მტერ-
ზედ არ დაკარგულიყო. აქ უმთავრესი მნიშვნელობა ერის
გულის თქმას ეძლევა და მრავალ ფეროვან დრტვინვას.

რაჭდენ ბარაშიძე

ვინც-კი ოვალ-ყურს აღევნებს ქართველ ერის წარმატების საქმეს და ანუ ქართული მწიგნობრობის (საქმეს) აღორძინებას ამ უკანასკნელ წლებს, იმას უეჭველია რაჭდენ ბარაშიძის ხენებაც ეცოდინება.

რაჭდენ ბარაშიძე იყო ახალ გაზრდა გურული, მორჩილი, საბეროთ შემდგარი და მომავალში დიადის მამულის შეილობის ასპარეზის მომპოვებელიც. სრულიად ნორჩი, სრულიად ახალ გაზრდა შეუდგა მწირობის და მორჩილების საქმეს. მისი სწავლა განათლების კერა მონასტრის კედლებთ შორის აღენთო, მისი დახშული გონების სინათლემ იქ მიიღო ბრწყინვალე სხივი, იქ შეიმოსა ქართულის ანბანის სურვილით და სიყვარულით, იქ გაიღო მისთვის მეცნიერების კარი. რამდენიმე ხნის შემდეგ, სრულიად ახალგაზრდა მორჩილი, რაჭდენ ბარაშიძე, თავისს სარბიელზედ შესამჩნევ თვალ-ხილულ და გრძნობიერ ქართველად აღმოსჩნდა, იგი მალე მიხვდა თავის ერის და ქვეყნის დაცემულს მდგომარეობას, ეს მიხვედრა მისს გულსა ლახვარივით შეემსჭვალა, იგი დიადმა გულის კვნესამ მოიცვა, იგი დრტვინვას მიეცა, ასეთის ძალოვნების სახმილებისაგან აშლილი ქართულ მწიგნობრობაშიაც დახელოვნდა.

მალე ქართულ ენაზედ წიგნების ბეჭედულც დაიწყო. ჯერეთ პეტლია საზოგადო წმინდანების ცხოვრება და შემდეგ საქართველოს წმინდანების და მეფეების ცხოვრებასაც მოსჭიდა ხელი, უკანასკნელ იგი იწყებდა ჩვენის ქვეყნის შესახებ ისტორიული წიგნების ბეჭედვას და სხვათა შორის ჯერჯერობათ წმ. ნინოს ცხოვრებაც დასტამბა, რაც ხალხში. მალე გასაღდა და მის მეორე და მესამე გამოცემაც იქმნა. ასეთი წიგნების ბეჭედვის ნატვრა რაჭდენის მამულის სიყვარულით აღვსილ გულის სილრმეში მრავლად ეწყო, იგი ძლიერ ბევრს წიგნებს დასტამბავდა. ქართული წიგნების ბეჭედის დროს, იგი კარგათ განვითარდა ქართულს ისტორიაშიაც,

ნამეტურ საქართველოს საუკულესიო ისტორიაში. იგი მოგზაურობდა სოფლიდამ სოფელს, ძველს ტაძრებში, იქიდამ იღებდა ძველ წარწერებს, სხვა და სხვა მხატვრობის სურათებს და დედნებთან სისწორის შეთანხმებით და შედარებით სავსე თფილისში ჩამოჰქმნდა და ამრავლებდა.

იგი აგროვებდა სხვა და სხვა ძველ ნივთებს, ძველს ცნობებს ქართველ განვლილ დროთა შესახებ. მანვე მოიპოვა ხატი ღილებულის თამარ დედოფლის, რომელ წმიდა დედაც შესაფერის და ისტორიულის კანონიერის წმიდის სახიერებით არის დახატული, ისე, როგორც ეს მნათობი ქართველ ერსა. სწამს, რაუდენმავე ცნობები შეკრიბა ცველა იმ ძველ ტაძრების და ეკალესიების, რაც კი ოდესმე ქართველების ყოფილა და შემდეგ უამთა ვითარების მეოხებით სხვებს დაუკავებიათ. იგივე ჰკრებდა ცნობებს ქართველთა გათათრების და გასომხებისას. საქართველოს ისტორიის სიყვარულმა მისს გულში წმინდა მამულის შვილობის ლამპარი აღანთო.

რაუდენმა კარგად გაიცნო ქართული სამოქალაქო მწერლობაც. უკანასკნელ მას გულს უწყალებდა ქართველთ კათოლიკეთ გადაგვარების საქმე. ხოლო მათ პატარებს კი პატივს სცემდა წმიდა ქართველობისათვის.

მას ცხარედ ატირებდა და აკვნესებდა დასავლეთ საქართველოს დაღუპვა, ქართველთ გათათრება, ქართული ენის მოსპობა. მწარედ კვნესდა და ვალალებდა ჩვენის ძველის წიგნების ბედს და ილბალს, რაც ამ დღით აქა.იქ იხევა მეწვრიმლის დუქნებში და რის ნაშთები თვითაც ბევრი შეკრიბა. მისგან შეკრებილის ისტორიულის ცნობების მრავლად იბეჭდებოდა „უნობის ფურცელში“ — „ივერიაში“ და „მწყემშში“ ეს მწირ მორჩილი იქამდის აღვსილი იყო საქართველოს ერა ის სიყვარულის წყურევილით, რომ იგი ყოველი ქართველის უძლურის გამო თითქმის ტიროდა ხოლმე, თვით უძლური და უმწე მალამოთ ეფინებოდა თვისგან ნახულ-ტანჯულ და სიცოცხლით გვემულ ლატაკ ქართველს. ყოველი ქართველის

მწუხარება და სიღატაკე მას. მწარედ აკვნესებდნენ, დიდად ადარდებდენ და ატირებდენ. იგი საქართველოს და ქართველი ერის სიყვარულში დალევდა თავისს დღეს, თავისს ტკბილ სიცოცხლეს, მის შეძლების და გვარად გაგრუებით უყვარდა ქართველი ერის განათლება, ძველი მწერლობა და ქართველთ ბრძენ მწერალ-კაცნი, მათის ხსენებით ვნეტარებო იტყოდა რაედენი.

იგი იყო სუფთა მორჩილი, იყო თავაზიანი და ყველას პატივის მცემელი. ცალ ხელში ჩანთა ეჭირა და ცალ ხელში წიგნები, დალიოდა მთაში, ხეობიდამ ხეობაში, ბარიდამ ბარში და წიგნებს ავრცელებდა, ზოგს ჰყიდდა, უმეტეს მუქთად არიგებდა. მან კარგიდ შეიგნო ერის განვითარების მნიშვნელობა და მისი იარაღის ხმარება, ამიტომ მან ქართლსა და კახეთში ბევრს ისეთ მიყრუებულს კუთხეში მიაღწია და შეიტანა წიგნები, სადაც ათადან ბაბადან ქართული ანბანი თვალითაც არ ენახათ.

ყოველს სასიკეთო მხარესთან რაედენს ის აღმატებული თვისებაც ჰქონდა, რომ არა ქართველთაგან დაბეჭდილ სიზრმის ახსნებს და სხვა ასეთ წყეულ წიგნაკებს სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. მათი მოსპობა სულით და გულით ენატრებოდა. სწორედ ეს სწვავდა მას, რომ იგი მთელს ქართლსა და კახეთში არაფერ ობას არ დასტოვებდა. უსათუოდ წიგნებით წავიდოდა, ხშირად 50 ვერსის სიშროეზედ ფეხით მიღიოდა და წიგნებიც ზურგით მიპქონდა. რამდენსაც ყიდდა იქ, იმაზე ჟეტს მუქთად არიგებდა. იქ ყველას ვერ მოვსთვლით. მოკლედ ვიტყვით, რომ მას დიდი მომავალი ექადდა, მწერლობაშიაც თავს გამოყოფდა და წერასაც დაიწყებდა, ამის ნიშნები მან უკვე „ივერიაში“ და „ცნობის ფურცელში“ გვაჩვენა, იგი ბევრს, ძლიერ ბევრს სამსახურს გაგვიწვდიდა. 1900 წ. მაისის გასულს, თბილისიდამ ქართლში წავიდა თავისს საქმეზე მავალი, ერთის ობიდამ მეორესკენ გაემზავრა, სოფ. ხოვლისკენ, ერთის ძველის ტაძრის სანახავად.

და აღსაწერად, თან ქართული წიგნები წაილო, დურბინდი
და საჭირო ქაღალდები, წავიდა, მივიდა დანიშნულ ალაგას,
თუ არ მივიდა ამის ჩვენ არა ვიცით რა, აგრე ეს მერვე თვეა,
რაც ეს წრფელი მშრომელი და ჩ.ენთვის დიდად დანაკლისი
მორჩილი აღარა სჩანს, თითქოს ცამ ჩაპლაპა, ისე დაიკარგა
შისი კვალი, მისი ცხოვრების ცნობა. კაცმა არ იცის საით
წავიდეს, ვის ჰკითხოს და რა შეიტყოს ამ უბედურად დალუ-
პულის თუ არ დალუპულის შესახებ. ასეა, თუ ისე რაედენი,
რამდენადაც თავის თავისთვის დაილუპა, იმაზე მეტად და სა-
გრძნობიერად დაეკარგა თავისს სამშობლო ქვეყანას და მისს
დაქვეითებულ ერს, რომელსაც იგი თავ გადადებით ეშახუ-
რებოდა და ვისის სიყვარულითაც მას გული და სულიც გამ-
სჭვალული ჰქონდა. არ უწყით თუ სად წავიდა ეს კაცი და
სად ჩაიყლაპა ასე ანაზღათ და ბნელად! ზოგნი ამბობენ, რომ
ოსებმა მოკლესო, ზოგნი ამბობენ, სადაც ის წავიდა იქ ისე-
თი საშიშარი ტყეებია და იგოდენი ძლიერი ნადირია, რომ
მას ნადირი შესჭამდაო. ხეკნებულ მთის ძევლს ტაძარში რა-
ედენის ჩანთა აღმოსჩნდა, ქული და თაგვებისაგან შექმული
წიგნები. ეხლა შევიტყეთ, რომ უბედური რაედენი ერთ ეკ-
კლესიის ნაწერების გარდმოსალებათ მაღლა ასულა და გადა-
ლების დროს ძირს ჩამოვარდნილა და მომკვდარა. ამის შესა-
ხები ცნობა ოდგილობრივ გაზეთშიაც იყო დაბეჭდილი, თუმ-
ცა არც ამ ცნობებში იყო კარგად განმარტული. ნათლად
არაფერი სჩანს. დიდი, მეტად დიდი დანაკლისი დაიკარგა
ჩვენთვის. ზოგმა იქმნება დაწუნებით სთქვას, რომ რაედენი
რა იყო და იგი რა უნდა ყოფილიყო, გარდა უბრალო უსწა-
ვლელ მომაკვდავის მეტიონ. დიახ, მართალია, . საწავლებლის
კარი მას არ ენახა, მან მონასტერში შეისწავლა ანბანი, იქ
გაიხსნა მისი გზა და კვალი, ზაგრამ იგი იყო მახვილ გონიე-
რი და თვისის შრომით და ღწვით განვითარებული, მასზედ
არა ვის რა დაუხარჯავს, იგი იყო ისეთ მღვდელ-მთავართან,
როგორიც ყოვლად სამლენელო ალექსანდრე ბრძანდება, შე-

ძღეგ ლეონიძს ახლდა და უკანასკნელ დროებში კირიონთან, ვისგანაც მან ბევრი რამ ავი და კაი შეიტყო, გონების წარმატებით შეიმოსა, რიგიან ადამიანად აღმოსჩინდა, წრფელს მამულის შვილად. თვით 24 წლის იქმნებოდა. ვინც კი ჩვენი მწიგნობრობის გავრცელების საქმეს თვალს ადევნებს ის ამ უდროვოდ დაღუპულ მორჩილის გამოსალმებას დიდს დანაკლისად მიიღებს. ადვილი საქმე არ არის ჩვენში წიგნების ბეჭდვა, სოფლიდგან სოფელში ფეხით სიარული, მძიმე წიგნებით სავსე ტომრის ტარება და ისიც წიგნების ზოგი გასყიდვა უბრალო ფასად და ზოგისაც მუქთად დარიგება. განვიმეორებ, რომ რაუდენის დაკარგვა შესამჩნევად მიშაჩინია. მისგან მოპოვებული მარტოდ თმარ შეფის სახე ლირს უკვდავ განძათ.

ზ. ჭ.

፭. ቁጥር ፭

ମେଉର୍ଗ ଉପଥାନକଳ୍ପାଳ ଜ୍ଯେଷ୍ଠା, ଶାକଲୁ, ନେ ୩୦.

89

୪୧୬୮ 10 ଫୁଲ.

ဝါယံမြန်မာ ရွှေ မြိုင်ကျော် ပြောတော်မြေပိုင် ပုံစံတော်မြေပိုင်၊ လူသာ အောင် ပြောတော်မြေပိုင်၊